# 2025

# წლიური ანგარიში



# კახეთის სტეპები

## ბალანსი ცოცხალ ლანდშაფტს ან მომავალ უდაბნოს შორის

პროექტის მთავარი მიზანია სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია ერთიანი ეკოლოგიური ქსელის ფარგლებში, სადაც ბუნება და ადამიანების საქმიანობა ჰარმონიულად გააგრძელებს თანაცხოვრებას.

პროექტი ხორციელდება ივრის ზეგანზე და მოიცავს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს, ჭაჭუნის აღკვეთილს, ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიასა და კოწახურას ქედის ზურმუხტის საიტს.

პროექტი მოიცავს ივრის ზეგანზე მდგრადი ძოვების სისტემის დანერგვას, საძოვრების მდგომარეობისა და ბიომრავალფეროვნების აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის; სახეობების პოპულაციების და ჰაბიტატების მდგომარეობის სამეცნიერო კვლევას და კონსერვაციული ქმედებების შემუშავებას, ივრის ჭალის ტყისა და სხვა ეკოსისტემების აღდგენას, გარემოსდაცვითი ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების ხელშეწყობას.

პროექტი მხარდაჭერილია Endangered Landscapes&Seascape Programme (ELSP) მიერ, რომელსაც მართავს კემბრიჯის კონსერვაციული ინიციატივა Lisbet Rausing და Peter Baldwin–ის საქველმოქმედო ფონდ Arcadia-სთან პარტნიორობით.

*2025 წელს პროექტმა ყველა ძირითადი მიმართულებით ნაყოფიერად იმუშავა და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.*

## ბიომრავალფეროვნება და სახეობების აღდგენა

საკვლევ ტერიტორიაზე საბუკომ ჩაატარა კვლევა მსხვილი და საშუალო ძუძუმწოვრების სიმჭიდროვის, გავრცელების და გავრცელებაზე მოქმედი ფაქტორების გამოსავლენად (მონაცემები დამუშავების პროცესშია).

ასევე ჩატარდა კვლევა ბექობის არწივის საკვები ბაზის შესაფასებლად. წყვილების დაბუდებამდე ბუდეებზე დაყენდა ფოტოხაფანგები, რითიც შესაძლებელი გახდა იმ სახეობების იდენტიფიცირება, რომლებიც ბექობის არწივებს ბუდეში მოჰქონდათ.

საბუკოს მიერ, მდინარე იორზე მოწყობილმა ქვაყრილმა მცირე დატბორვით ტყე სიცოცხლისა და აღდგენისთვის საჭირო წყლის რაოდენობით უზრუნველყო.

## სტეპების ბეღურასნაირი ფრინველების მონიტორინგი

საბუკომ გააგრძელა საპროექტო ტერიტორიაზე მობუდარი ტოროლებისა *(Alaudidae)* და მინდვრის მწყერჩიტას *(Anthus campestris)* საგაზაფხულო მონიტორინგი. შერჩეული რამდენიმე სახეობის ყოველწლიური მონიტორინგით ორგანიზაცია ცდილობს გაარკვიოს, როგორ ცვლის  საბუკოს მიერ საპროექტო არეალში დანერგილი როტაციული ძოვების პრაქტიკა ბალახოვანი ეკოსისტემების მდგომარეობას.

აღნიშნულმა პრაქტიკამ ჰაბიტატის აღდგენას უნდა შეუწყოს ხელი, რაც პოზიტიურად აისახება ადგილობრივი სტეპების ფრინველების მრავალფეროვნებაზე, ტერიტორიაზე განაწილებასა და რიცხოვნობაზე.

ეს კვლევა ყოველწლიურად კეთდება, რათა სახეობების ყოფნა-არ ყოფნის დადგენით და შეგროვებული რაოდენობრივი მონაცემების დახმარებით, შესაძლებელი გახდეს ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებების წარმატების განსაზღვრა.

## მიწის მდგრადი მართვა

იმისთვის, რომ საბუკოს საქმიანობით მოტანილი შედეგები შენარჩუნდეს, აუცილებელია მიწის სწორი მართვა, ბალახის საფარის შენარჩუნება და გამოფიტვისა და ეროზიის თავიდან არიდება.

სწორედ ამ მიზნისთვის, საბუკომ დაიწყო ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა. მას შემდეგ, რაც სისტემა დაიხვეწება, ტექნიკურად გაიმართება და მზად იქნება გამოსაყენებლად, საბუკო, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გაივლის ტრენინგს მისი სწორად და ეფექტურად გამოყენების პროფესიონალურად შესწავლისთვის.

საბუკოს მიერ შექმნილი როტაციული ძოვების სქემის გამოყენება 12 ახალმა ფერმერმა დაიწყო და ამით იმ ტერიტორიის ფართობი, რომელიც მდგარად იმართება, 3800 ჰექტარით გაიზარდა.





## ეკონომიკური გავლენა

ივრის ზეგანზე მცხოვრები თემების გასაძლიერებლად, ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების და საბუკოს საქმიანობით მიღებული შედეგების შესანარჩუნებლად, ორგანიზაციამ შექმნა მარკეტინგული ქოლგა ბრენდი “დოვლათი”.

“დოვლათი” აკავშირებს ტრადიციული, თუშური გუდის მწარმოებელ მეცხვარეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს, რათა რძის პროდუქტების გაყიდვით ფერმერებმა იგრძნონ ფინანსური სტაბილურობა, შეინარჩუნონ გუდის წარმოების საუკუნოვანი ტრადიცია და დამატებითი შემოსავლისთვის არ დასჭირდეთ ცხვრის რაოდენობის გაზრდა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ივრის ზეგანზე არსებულ საძოვრებზე.



“დოვლათმა” პირველ ეტაპზე უკვე დააკავშირა ტრადიციული გუდის ყველის მწარმოებლები და ბიზნესის წარმომადგენლები, შემდეგ ეტაპზე “დოვლათს” სხვა ცხვრის პროდუქტებიც დაემატება.

პროდუქტის შესახებ ცნობიერების და სამომავლოდ, მისი გაყიდვების გასაზრდელად საბუკომ კრეატიულ სააგენტოს დოკუმენტური ფილმის გადაღება დაუკვეთა.

ფილმის “საზიარო მიწა” გადაღებები, კემბრიჯის კონსერვაციული ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით, ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ის გვაცნობს მეცხვარეებს და გვაჩვენებს მათი ცხოვრების ყოველდღიურობას ივრის ზეგანზე, დამღლელ მგზავრობას მთის თოვლიან კალთებზე ფარის გადარეკვისას საბოლოოდ, ყველის ამოყვანის და შენახვის პროცესს თუშეთში.

ფილმის ჩვენება კინოთეატრ “ამირანის” დიდ დარბაზში გაიმართა და დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ “დოვლათის” პროდუქციაც დაეგემოვნებინათ.

ფერმერებმა, საბუკოს ორგანიზებით, გაიარეს ტრენინგები სურსათის უვნებლობის, პროდუქტის წარმოებისა და დაცვის სხვადასხვა სისტემების შესახებ (HACCP, and PDO/GI).

Fauna & Flora-ს ფინანსური მხარდაჭერით, საბუკომ ჩაატარა ვორქშოპი “ცვლილების თეორიის” შესამუშავებლად, რომელზეც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლებმა იმუშავეს. მათ ერთობლივად გამოავლინეს პრიორიტეტული ქმედებები, რომლებიც მხარს დაუჭერს როგორც კონსერვაციის მიზნებს, ისე ადგილობრივი მდგრადი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას.

## პოლიტიკა და შესაძლებლობების გაზრდა

2025 წელს, საქართველოს მთავრობამ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მართვის გეგმა დაამტკიცა, რომლის შემუშავებასა და განახლებაში საბუკო აქტიურად იყო ჩართული.

საბუკოს მოსაზრებები გაითვალისწინეს სამელიორაციო პროექტის ნებართვის გაცემის დროსაც, რაც შესაძლებლობას მოგვცემს პლანტაციური მეურნეობა კარგი პრაქტიკის მიხედვით გაშენდეს.

საბუკომ შეიტანა სარჩელი შპს „ფარმვეი საქართველო ოპკო“-სთვის გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების მოთხოვნით დედოფლისწყაროში მას შემდეგ, რაც ორგანიზაციის მონიტორინგის გუნდმა სამუშაო ადგილზე არაკანონიერი საქმიანობა დააფიქსირა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმა საბუკოს მიერ დაარსებული “საძოვრების მდგრადი მართვის კურსი” წარმატებით გაიარა, პროგრამას “საბუკო სკოლებისთვის” კი 54 მოსწავლე შეემატა. თვრამეტმა რეინჯერმა გაიარა პირველადი დახმარების, ხუთმა - საძოვრების მართვის, ხოლო 20-მა პატრულირების ტრენინგი.

# ლანდშაფტის უწყვეტობისა და მედეგობის გაუმჯობესება რაჭისა და ლიხის ქედებზე

პროექტის მიზანია ლანდშაფტის მთლიანობის, დარღვეული ეკოსისტემების აღდგენისა და ეკოსისტემების მდგრადი მართვის შესაძლებლობების შესწავლა, რაც სარგებელს მოუტანს ადამიანსა და ბუნებას.

საპროექტო ტერიტორია 153 000 ჰექტარს აღემატება და ძირითადად მოიცავს რაჭის ქედს, ასევე დიდი კავკასიონის ნაწილს და ლიხის ქედს - ერთადერთ ბუნებრივ დერეფანს დიდსა და მცირე კავკასიონს შორის.

პროექტი დაფინანსებულია Endangered Landscapes&Seascapes Programme-ის დაგეგმვის გრანტების ფარგლებში, რომელსაც მართავს კემბრიჯის კონსერვაციული ინიციატივა.

2025 წელს, პროექტის დასკვნით ეტაპზე, საბუკომ გააერთიანა ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც ორი წლის განმავლობაში, რაჭაში მუშაობის შედეგად დაუგროვდა და ის უფრო ფართო, სტრატეგიულ დოკუმენტებად აქცია, რომელიც სამომავლოდ, რეგიონში მუშაობას უფრო მარტივს და შედეგიანს გახდის.

*პროექტის ფარგლებში საბუკომ ოთხი ძირითადი ამოცანა შეასრულა:*

## ალიანსების შექმნა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

საბუკომ პროცესი დაინტერესებული მხარეთა რუკის შედგენით დაიწყო, რათა განესაზღვრა მათთან კომუნიკაციის სწორი სტრატეგიები. რაჭის მდგრადი მომავლისთვის დაგეგმილი კამპანიის ფარგლებში, ორგანიზაციამ შეიმუშავა მანიფესტი, რომელსაც ასზე მეტი თანამოაზრე ორგანიზაცია თუ ინდივიდი შემოუერთდა. პროექტით დაინტერესებული ჯგუფები მრავალფეროვანი იყო, ამიტომ საბუკომ მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების დეტალური შეფასება მოამზადა, შედეგებზე დაყრდნობით კი დასახა შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა. დაინტერესებული მხარეებისთვის გაიმართა შეხვედრა, სადაც ინფორმაცია მივაწოდეთ სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროცესში ჩართვის შესაძლებლობებზე., ეს ინფორმაცია მათ სამომავლოდ დაეხმარებათ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების დროს რაჭაში შეძლონ როგორც სოციალური, ისე გარემოსდაცვითი ინტერესების დაცვა.

## ბიომრავალფეროვნებისა და აღდგენის პოტენციალის შეფასება

პროექტის ფარგლებში, საბუკოს კვლევითი საქმიანობა მოიცავდა მასალებისა და მონაცემების შეგროვებას კვლევის მეთოდოლოგიის განსასაზღვრად; რაჭის ტყის სიჯანსაღის შეფასებას; საძოვრების აღდგენის პოტენციალის შეფასებას; ფოტომახეებით კვლევას რაჭისა და ლიხის ქედების დაცული ლანდშაფტის განსაკუთრებული მნიშვნელობის საჩვენებლად; ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის და ლანდშაფტის აღდგენისთვის პრობლემური საკითხების, მათ შორის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, უკანონო ჭრის თუ ბრაკონიერობის ანალიზს.

საბუკოს მიერ მომზადებული კვლევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანისა და გარეული ცხოველის კონფლიქტის კვლევა და ჩლიქოსნების რეინტროდუქციის შესაძლებლობის კვლევა.

პირველად ჩატარდა რაჭაში ჩლიქოსნების, კერძოდ ევროპული ბიზონის და კეთილშობილი ირმის ბუნებაში დაბრუნების შესაძლებლობის კვლევა. კვლევის ფარგლებში, რაჭისა და ლიხის ქედებზე გამოვლინდა ევროპული ბიზონისთვის შესაფერისი ჰაბიტატები. წარმატებული რეინტროდუქციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამიგრაციო მარშრუტების, განსაკუთრებით ლიხის ქედის დამაკავშირებელი დერეფნის აღდგენა.

რაჭის საკვლევ არეალში, საბუკომ დააიდენტიფიცირა ტერიტორია, რომელიც, ორგანიზაციის შეხედულებით, ბუნებრივი კორიდორის როლს ასრულებს რაჭის ეროვნულ პარკსა და კვერეთის აღკვეთილს შორის. ამ ტერიტორიაზე დავიწყეთ ფოტო-ხაფანგებით კვლევა მსხვილი და საშუალო ძუძუმწოვრების გავრცელებისა და გავრცელებაზე მოქმედი ფაქტორების შესაფასებლად. წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად დათვს, შველსა და მელას ვაფიქსირებდით.

## ლანდშაფტის მდგრადობის ერთიანი ხედვის შემუშავება

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩამოყალიბდა რაჭის განვითარების გრძელვადიანი ხედვა. მისი საფუძველი სოციოლოგიური კვლევა “ლანდშაფტის კონსერვაციისა და აღდგენის მონაწილეობითი ხედვა” გახდა, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი თემების ცოდნა, ღირებულებები და პერსპექტივები შევისწავლეთ.

პროექტის საბოლოო პროდუქტი იყო მიღებული სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემუშავებული ლანდშაფტის აღდგენის დეტალური გეგმა, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ გზამკვლევს. გეგმა დაწვრილებით ასახავს ლანდშაფტის აღდგენისთვის საჭირო ნაბიჯებს, ინტერვენციებსა და სამომავლო ბიუჯეტს. ეს შემაჯამებელი დოკუმენტი მყარ საფუძველს ქმნის რაჭისა და ლიხის ქედებზე ლანდშაფტის აღდგენის ღონისძიებების დასაწყებად და ამისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების მოსაზიდად.

# ორგანიზაციული განვითარების გრანტი

ორგანიზაციული განვითარების გრანტი საერთაშორისო დონორის, The Sigrid Rausing Trust (SRT)-ის ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციებს მხარი დაუჭიროს ზრდისა და განვითარებისთვის საჭირო არაპროექტულ აქტივობებში. ამ მხარდაჭერამ საბუკოს საქმიანობის უწყვეტობის, თემებთან მუშაობის გაღრმავების და სამეცნიერო კვლევების განხორციელების საშუალება მისცა.

დონორმა სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსა საბუკოსთვის მნიშნელოვანი ისეთი აქტივობები, როგორიც არის ფოტომახეებით კვლევა რაჭისა და ლიხის ქედებზე, ეკო-კორიდორების იდენტიფიცირებისა და მათი კონსერვაციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით; ადამიანი-მტაცებლის კონფლიქტის შერბილება, თემის მობილიზაცია, რაჭაში ჩლიქოსნების რეინტროდუქციის შესაძლებლობის კვლევა; სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის მომზადება და სხვ.

## კონსერვაცია, ლანდშაფტის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი

საბუკომ გააგრძელა თეთრი ყარყატის პოპულაციის მონიტორინგი, გააფართოვა კვლევის არეალი და ოცზე მეტი, აქამდე დაუფიქსირებელი ბუდე აღრიცხა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, საბუკომ მოამზადა ბექობის არწივის მიკრობიომის მრავალფეროვნების პირველი სამეცნიერო კვლევა საქართველოში, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო რეფერირებად მაღალრეიტინგულ ჟურნალში Frontiers in Microbiology.

სახეობის მიკრობიომის შესწავლა მნიშვნელოვანია კონსერვაციის დაგეგმვისა და ეკოსისტემების მდგრადობისთვის, ასევე ადამიანსა და გარემოზე პოტენციური საფრთხეების შეფასებისთვისა და პრევენციისთვის.

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან კონსულტაციებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, საბუკომ მოამზადა კოლხეთის ჭაობების აღდგენის საგრანტო განაცხადის კონცეფცია.



## კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება

გასული წლის განმავლობაში საბუკო მონაწილებდა რამდენიმე კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ეროვნული დოკუმენტის შემუშავებაზე, მათ შორის იყო:დაცული და სხვა კონსერვაციული ტერიტორიების განვითარების კონცეფცია; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის 10 წლიანი პროგრამა; სახეობათა აღდგენის სახელმწიფო პროგრამა.

გარდა ფრინველთა სახეობებთან დაკავშირებული საკითხებისა, საბუკომ რეკომენდაციები მომზადა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა ისეთ სახეობებთან დაკავშირებითაც, როგორებიცაა ევრაზიული თახვი და ქურციკი.  ჩლიქოსნების რეინტროდუქციის შესაძლებლობის კვლევაც სწორედ ამ სახელმწიფო დოკუმენტის შესაბამისად მომზადდა.

დაცული და სხვა კონსერვაციული ტერიტორიების განვითარების კონცეფციის, ასევე საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, საბუკომ იმუშავა რაჭაში დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოების, მმართველობისა და მართვის ფორმების დივერსიფიკაციის მიმართულებით.

საბუკოს ეს ხედვა, რომელიც ორგანიზაციამ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალურ საბჭოს წარუდგინა, ნაწილობრივ აისახა 2025 წლის შემოდგომაზე პარლამენტის მიერ მთავრობის ინიცირებით მიღებულ კანონში, რომლითაც გაფართოვდა რაჭის ეროვნული პარკი, განისაზღვრა ხუთი ბუნების ძეგლი და შეიქმნა ამბროლაურის დაცული ლანდშაფტი.

საბუკოს საქმიანობა რამდენიმე წლის წინ დაეხმარა გადაწყვეტილების მიმღებებს ინფორმირებული, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელთა შედეგადაც მიმდინარე წელს: კასპის მუნიციპალიტეტში მშენებარე ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში გათვალისწინებული იქნა საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის - ფასკუნჯის კონსერვაციული საჭიროებების განსაზღვრა, რაც გულისხმობდა კომპანიის მხრიდან ფასკუნჯების დამატებით კვლევას, საქმიანობის დაწყებამდე.

ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კონგრესზე საბუკოს მიერ წარდგენილმა რეზოლუციამ „საძოვრებისა და პასტორალიზმის კონსერვაცია და მდგრადი მართვა“ წევრთა ასამბლეის სრული მხარდაჭერა მოიპოვა. ეს არის  მიღწევა, რომელიც აღიარებს საძოვრებისა და პასტორალიზმის სასიცოცხლო მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისა და ასობით მილიონი ადამიანის კეთილდღეობისთვის.

საქართველოსთვის, თავისი ლანდშაფტებითა და მესაქონლეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, საძოვრების მდგრადი მართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საბუკოსთვის ამ რეზოლუციის წარდგენა არის შესაძლებლობა, საკუთარი ქვეყნის გამოცდილება და ხედვა გლობალური პოლიტიკის ნაწილად აქციოს. რეზოლუციით განსაზღვრული საკითხების ეროვნულ დონეზე ამ გლობალური ჩარჩოს დანერგვის მიზნით,  მისი პრინციპები ავსახეთ სამუხის დაცული ტერიტორიის მართვის გეგმაში.

## გარემოსდაცვითი განათლება,
## ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო მეცნიერება

საბუკომ შეიმუშავა გზამკვლევი მოქალაქეებისთვის - გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის შესახებ. გზამკვლევის მიზანია, საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ თითოეული მოქალაქისთვის მარტივ სახელმძღვანელოდ გარდაქმნას. კოდექსი არა მხოლოდ ექსპერტებისთვის, არამედ საზოგადოების გასაძლიერებლად შექმნილი დემოკრატიული ინსტრუმენტია, რომელიც მოქალაქეებს ასწავლის, როგორ გამოიყენონ მათი კანონიერი უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის.

გასულ წელს წარმატებული იყო ბიომრავალფეროვნების ახალი ინდიკატორის პილოტირება, რომელიც კოდალებს, როგორც ტყის სიჯანსაღის შეფასების ინდიკატორებს, გამოიყენებს. ეს მეთოდოლოგია საფუძველს შექმნის სამოქალაქო მეცნიერების (citizen science) პროგრამისთვის, რომელიც რაჭაში მცხოვრებ ახალგაზრდებს ფრინველთა პოპულაციის მონიტორინგში ჩართავს.

2025 წელს, პროგრაში „საბუკო სკოლებისთვის“ 11 ახალი მასწავლებელი და 130 მოსწავლე ჩაერთო. პროგრამის მიზანია გაზარდოს ცნობიერება და გააუმჯობესოს დამოკიდებულება ბიომრავალფეროვნების მიმართ, ასევე მეტი ახალგაზრდა ჩართოს გარემოსდაცვით აქტივობებში.

თავის მხრივ, საბუკოს თანამშრომლებიც იღრმავებდნენ ცოდნას სხვადასხვა მიმართულებით, ვორქშოპებისა თუ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობით, იქნებოდა ეს თემზე დაფუძნებული კონსერვაციის და მონიტორინგის საერთაშორისო ვორქშოპი Flyway Guardians 2025 (ისრაელი), გეოინფორმაციული სისტემები (QGIS) თუ სხვა.

# ფინანსური ანგარიში



შემოსავალი
3 878 024 ₾

ხარჯი
2 658 915 ₾

# დონორები

BirdLife INTERNATIONAL | Partnership for nature and people

ENDANGERED LANDSCAPES & SEASCAPES PROGRAMME

Cambridge Conservation Initiative

ARCADIA

SIGRID RAUSING TRUST

Fauna & Flora
Saving Nature Together